ფინანსური მხარდაჭერა ევროპის საინვესტიციო ბანკისგან

ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB/www.eib.org), რომელიც ევროკავშირის საკრედიტო ინსტიტუტს წარმოადგენს და კრედო ბანკის გრძელვადიანი თანამშრომლობის შედეგად ხელი მოეწერა 28.8 მილიონი ლარის (10 მილიონი ევრო) ხუთწლიან სასესხო ხელშეკრულებას. 2022 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული საფინანსო ხელშეკრულება მიზნად ისახავს EIB-ს დახამარებით მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას სპეციალური პირობებით.

ბენეფიციართა კრიტერიუმები:

ბენეფიციარებს წარმოადგენენ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები („SME“), რომელთა სრულ განაკვეთზე მყოფ თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება 250-ს;

ბენეფიციარები დარეგისტრირებულნი უნდა იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე;

დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია პროექტებზე, რომელთა ხარჯი არ აღემატება 25 მილიონ ევროს (ან ექვივალენტს სხვა ვალუტაში);

დაფინანსების ვადა მოიცავს მინიმუმ 2 წელს და არ უნდა აღემატებოდეს დაფინანსებული პროექტის (მათ შორის ძირითად საშუალებებში ინვესტირებული) ეკონომიკურ და ტექნიკურ სასიცოცხლო ვადას.

ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებისათვის დასაშვები პროექტები მოიცავს:

მატერიალური აქტივების შეძენას, განახლებას ან გაფართოებას, მშენებლობის ეტაპის განვითარებასა და დაგეგმვას;

ინვესტიციას არამატერიალურ აქტივებში;

საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას.

განსაკუთრებული ფინანსური უპირატესობა:

ევროპის საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით, ბენეფიციარები ისარგებლებენ ფინანსური უპირატესობით, რაც გულისხმობს წლიური საპროცენტო განაკვეთის შემცირებას სულ მცირე 0.25%-ით, რომლითაც შესაძლებელი იყო სარგებლობა ევროპის საინვესტიციო ბანკის მონაწილეობის გარეშე.